პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 256 (5806)

28 1976 წ. დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

50
1926-1976
პიონერი

საქართველოს პროფსაბჭოში

პროფკავშირულ ორგანიზაციათა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავის ზეიმობის გამო პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანების თაობაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული ამოცანების განხორციელებაში პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის მიზნით, რესპუბლიკის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა კიდევ უფრო ფართოდ და აქტიურად გააჩაღონ პროპაგანდისტული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა მშრომელებმა უფრო ღრმად შეისწავლონ სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მასალები და მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი ლ. ი. ბრეჟნევის შესახებ.

კიდევ უფრო დახვეწონ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი ზნეობრივი აღზრდის ყველა ფორმა, მთელი ძალღონე მოახმარონ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღებას.

მაქსიმალურად გამოიყენონ მიტინგები და კრებები, რომლებიც ახლა საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივებში იმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის იუბილესთან დაკავშირებით, რათა პარტიის პოლიტიკას მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი კონკრეტული საქმეებით, იმუშაონ უკეთ, ახალი მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს.

გაააქტიურონ საქმიანობა მშრომელთა დარაზმვისთვის 1977 წლის გეგმების, გადიდებული ვალდებულებებისა და მთლიანად ხუთწლედის შესასრულებლად.

მთელი მუშაობა დაუქვემდებარონ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ლ. ი. ბრეჟნევის შრომებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მითითებების განხორციელებას, რომლებსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პირობებში.

საგზურები განაწილდა

ახლახან თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა დედაქალაქის პირველობა ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. გათამაშების ფორმულით, პირველ სამ ადგილზე გასულნი საქართველოს პირველობის საგზურებს იღებდნენ. 1977 წლის რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს „ლოკომოტივის“ (მწვრთნელი ჯ. ცერცვაძე), უნივერსიტეტისა (ჯ. დვალიშვილი) და სამედიცინო ინსტიტუტის (ზ. ფხალაძე) გუნდებმა. ამ კოლექტივებმა ფინალურ ეტაპზე სწორედ ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები.

„ფალავანთა ფალავანი-76“

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. მთავარი პრიზი — გარდამავალი თასი მოიპოვა 1976 წლის ფალავანთა ფალავანმა, ცნობილმა ძიუდოისტმა თემურ ხუბულურმა.

სურათზე: გამარჯვებული მოჭიდავე პრიზით ხელში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

„პიონერი“ 50 წლისაა

ჩვენი სიყმაწვილის დამფრთიანებელი

ორმოცდაათი წლისას ახალგაზრდობას კარგა გადაცილებულზე იტყვიან. ორმოცდაათი წლისა ბევრი რამ ცვდება, ბევრ რამეს ჟანგი ეკიდება, ბევრი თავის პირვანდელ დანიშნულებას ვეღარასრულებს, ზოგი რამ კი ამდენი წლის მერე, უბრალოდ, დავიწყებას ეძლევა.

„პიონერს“ სამისო არაფერი სჭირს, „პიონერი“ დღესაც მწყობრშია, ის კი არა, უფრო ახალგაზრდა, ენერგიითა და ხალისით სავსე ეწევა ერთობ საძნელო და საფრთხილო საქმის ჭაპანს. ყმაწვილის სულში სიყვარულის, სიკეთის თესლის ჩაგდება არ არის ადვილი, კაცთმოყვარედ გაზრდა — არც ეს არის იოლი, მოქალაქედ ჩამოყალიბება—ესეც ძალზე ძნელი, მაგრამ ამ მუდამ მებრძოლი, მუდამ მოზარდებთან მხარდამხარ მიმავალი და მათი გზის მანათობელი ჟურნალის პირდაპირი ვალია.

ორმოცდაათი წლის წინათ მიიღო ეს არცთუ იოლი ესტაფეტა „ჯეჯილისაგან“ და მას შემდეგ პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით ეზიდება ამ ტვირთს.

ჩვენ, ახალი ცხოვრების მშენებლობის სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა უბანზე მომუშავე ყმაწვილობას გადაცილებული ადამიანები „პიონერით“ ვიწყებდით. „პიონერი“ აყალიბებდა და მიმართავდა ჩვენს დაუდევინებელ ხასიათს, მასთან ერთად ვეცნობოდით, მასთან ერთად ვიხსენებდით სახელოვან მამულიშვილთა, ჩვენს თანატოლთა გმირულ საქმეებს, „პიონერით“ ვეცნობოდით ჩვენი უფროსი ამხანაგების — კომკავშირელების სასახელო შრომას.

ასეა ახლაც. „პიონერი“ იქ არის, სადაც ყველაზე მძლავრად იგრძნობა ცხოვრების მაჯისცემა — ბამი იქნება თუ ქინვალჰესი, წიგნებზე თავაუღებელი მუშაობა თუ ენგურჰესი, აქედანვე აჩვევს სკოლის მერხებთან მსხდომთ ვაჟკაცობისა და შრომის სიყვარულს.

„პიონერმა“ კარგად იცის ფიზკულტურისა და სპორტის ყადრიც. აბა როდის, თუ არა ყმაწვილობაში უნდა გაღვივდეს იმის შეგნება, რომ ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში შეიძლება არსებობდეს.

„ლელოს“ რედაქციის კოლექტივი გაზეთის მრავალათასიან მკითხველთან ერთად ულოცავს „პიონერს“ ამ სასახელო თარიღს, დღეგრძელობას უსურვებს მარად უბერებელ ჟურნალსა და მის ჭაბუკური შემართებით მებრძოლ კოლექტივს.

საკდესის ანკეტის ლაურეატები

საკდესის ტრადიციული ანკეტის ლაურეატობა 1976 წელს რუმინელმა ტანმოვარჯიშემ **ნადია კომანეჩიმ** და კუბელმა მორბენალმა **ალბერტო ხუანტორენამ** მოიპოვეს. მათ ყველაზე მეტი ხმა მიიღეს ღეპეშათა სააგენტოების სპორტულ მიმომხილველთა შორის ჩატარებული გამოკითხვით, რომელსაც უნდა დაესახელებინა საუკეთესო სპორტსმენები 1976 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შედეგების მიხედვით.

კომანეჩისა და ხუანტორენას წარმატება კიდევ ერთი დადასტურებაა სოციალისტური ბანაკის ათლეტთა ოლიმპიური ტრიუმფისა, იმ ქვეყნების წარმომადგენელთა დიდი გამარჯვებისა, სადაც ფიზიკური კულტურა და სპორტი ფართო მასების საკუთრებად იქცა.

საზაფხულო ოლიმპიადის „პირველმა გრაციამ“ ნადია კომანეჩიმ სპორტული ტანვარჯიშის უმთავრესი ტიტული — აბსოლუტური ოლიმპიური ჩემპიონის სახელი და სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ამ ასპარეზობის დროს იგი 14 წლისა იყო. ალბერტო ხუანტორენამ მონრეალის თამაშებში დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა: 400 და 800 მეტრზე რბენაში მის გამარჯვებას ვერც ერთი სპეციალისტი ვერ იწინასწარმეტყველებდა.

საკდესს თავიანთი „ექვსეულები“ გამოუგზავნეს მსოფლიოს ყველა უდიდესი სააგენტოს — ასოშიეიტედ პრესის, რეიტერის, ფრანს პრესის, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის, აგრეთვე, 16 ეროვნული საინფორმაციო სააგენტოს სპორტულმა რედაქციებმა.

სიებში დასახელებული არიან 22 ქვეყნის სპორტსმენები — 25 ქალი და 38 ვაჟი.

ქალებში II ადგილი დაიკავა (დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით) **კორნელია ენდერმა** (გდრ, ცურვა), III — **ტატიანა კაზანკინამ** (სსრ კავშირი, ძძლეოსნობა). შემდეგ მოდიან: **როზი მიტერმაიერი** (ავსტრია, სამთო-სათხილამურო სპორტი), **ირენა შევინსკა** (პოლონეთი, მძლეოსნობა) და **ტატიანა ავერინა** (სსრ კავშირი, ციგურაობა). ვაჟთა სექსტეტში მეორე ადგილზეა **ლასე ვირენი** (ფინეთი, მძლეოსნობა), მესამეზე — **ნიკოლოზ ანდრიანოვი** (სსრ კავშირი, სპორტული ტანვარჯიში). შემდეგ მოდიან **ჯონ ნაბერი** (აშშ, ცურვა), **ფრანც კლამერი** (ავსტრია, სამთო-სათხილამურო სპორტი) და **ვასილ ალექსეევი** (სსრ კავშირი, ძალოსნობა).

როგორც ხედავთ, ლაურეატთა შორის ოთხი საბჭოთა სპორტსმენია, რომელთაც ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს ინსბრუკსა და მონრეალში.

მკითხველი — სპეციალისტი: დიდი ფეხბურთის პრობლემები

„ლელოს“ მრგვალი მაგიდა

„ლელოს“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ ჩვენი გაზეთის 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო მიმართვა ფეხბურთის გულშემატკივრებისადმი „გიწვევთ მრგვალ მაგიდასთან“, რომელიც მათ სთავაზობდა მონაწილეობა მიეღოთ საქმიან საუბარში განვლილი საფეხბურთო სეზონის შედეგებზე, მის უმთავრეს მოვლენებზე, აქტუალურ პრობლემებზე, იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს სამამულო ფეხბურთის შემდგომ წინსვლას და განვითარებას. ასეთი პრობლემა კი მრავლადაა. მოსაგვარებელი ჩვენს ფეხბურთში, დაწყებული მცირეწლოვანი ბეჭუნებიდან, დამთავრებული უმაღლესი ლიგის გამოცდილი ოსტატებით.

განვლილი საფეხბურთო სეზონი მდიდარი იყო სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებით, წარმატებებითა და წარუმატებლობით. მისი ყველა ასპექტის განხილვა და გაანალიზება რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც გულდასმითი, სერიოზული მუშაობა სჭირდება.

„ლელოს“ მკითხველები, ფეხბურთის მოყვარულები აქტიურად გამოეხმაურნენ მრგვალ მაგიდასთან ამ, ასე ვთქვათ, „დაუსწრებელი“ საუბრის იდეას, ვინაიდან ამჯერად მათთვის პასუხი უნდა გაეცათ ფეხბურთის სპეციალისტებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ამ დარგის მუშაკებს. რედაქციაში მოვიდა მრავალი წერილი სხვადასხვა წინადადებით, მოსაზრებით, შეკითხვით, საინტერესო მიმოხილვით. მათი განხილვისას ჩამოყალიბდა რამდენიმე მთავარი პრობლემა, დამოუკიდებელი თემა, რომლებიც აერთიანებენ შემდეგ საკითხებს: **საქართველოს პირველობა, ბავშვთა ფეხბურთი, II ლიგა, I ლიგა და უმაღლესი ლიგა.**

მრგვალი მაგიდის ირგვლივ საუბარი შედგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში. დამსწრეებს შესავალი სიტყვით მიმართა სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ**, მან ხაზი გაუსვა მკითხველებისა და სპეციალისტების ამ კონტაქტის დიდ მნიშვნელობას და სარგებლიანობას, აღნიშნა, რომ მკითხველთა ეს ინტერესი „ლელოს“ მრგვალი მაგიდისადმი გამოწვეულია არა მარტო ფეხბურთის სიყვარულით, არამედ ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობის ამაღლების, დიდ სარბიელზე ახალ წარმატებათა მოპოვების სურვილითაც.

მრგვალ მაგიდასთან საუბარში მონაწილეობა მიიღეს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა **ა. მჭედელმა**, სამმართველოს მუშაკებმა — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **კ. ურუშაძე**ლმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯებმა **ვ. შავდიამ**, **ი. ბოთორაძემ**, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯებმა **უ. ფურცელაძემ**, **ი. მედლიშვილმა**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ი. საყვარელიძემ**, მისმა მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ბ. ჯეჯელავამ**, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ **ნ. ჩხატარაშვილმა**, თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა **ნ. ახალკაცმა**, ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსმა მწვრთნელმა **ა. ნორაკიძემ**, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგემ **გ. ბაქანიძემ**, თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორმა **შ. მერკვილაძემ**, თბილისის „სპარტაკის“ მწვრთნელებმა **ა. ზაზროევმა** და **ფ. მელიძემ**.

საუბარი მრგვალ მაგიდასთან „ლელოს“ ფეხბურთის განყოფილების გამგემ **ბ. ქორჩიამ** ასეთი შეკითხვით დაიწყო:

(დასასრული მე-3 გვ.).

კოლექტიური სიტყვა ფალავნობაზე

ბოლოთქმა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე

ჟურნალისტსა და მაყურებელს ვიზუალური აღქმის ერთი და იგივე ობიექტი აქვთ. მაყურებელი ზუსტად იმას ხედავს, რასაც ჟურნალისტი, მაგრამ პირველს თავისი შთაბეჭდილებები შინ მიაქვს, მეორემ კი ისინი უსათუოდ მკითხველამდე უნდა მიიტანოს. ალბათ ამიტომაა, რომ მაყურებელი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება, იმ დროს, როცა ჟურნალისტი ვალდებულია ღრმად ჩასწვდეს მოვლენათა არსს, დაუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, განასხვაოს ან დაამთხვიოს მათი შინაგანი ბუნება.

ამას სხვაგვარად ანალიზი ჰქვია.

არის ანალიზი ზედაპირული, ასე ვთქვათ, პირველი შთაბეჭდილებით მიღებული, არის ანალიზი უფრო ღრმა, საფუძვლიანი, რასაც მოფიქრება და მსჯელობა სჭირდება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს ესა თუ ის საგაზეთო ანგარიში. ანალიზისთვის გამოდგება ყველაფერი — მონაწილეთა აზრებიც, მწვრთნელებისა და სპეციალისტების შეხედულებებიც, გამოდგება უბრალო სტატისტიკური მონაცემებიც, თუკი მათ ზუსტად მივუყენებთ კონკრეტულ ფაქტებს.

დავიწყოთ ბოლოდან და დღევანდელი საგაზეთო ანგარიში რესპუბლიკის აბსოლუტურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში ამ სქემის თანახმად ჩამოვაყალიბოთ.

მაშ ასე, პირველი სიტყვა სატურნირო სტატისტიკას

წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც გუშინწინ დამთავრდა სპორტის სასახლეში, 52 მოჭიდავე მონაწილეობდა. ეს ამ შეჯიბრების პირველი და უმთავრესი ღირსებაა, თუ მას წინა ჩემპიონატების მონაცემებს შევადარებთ. ტურნირის დაწყების წინ გამოითქვა აზრი, რომ მონაწილეთა ასეთმა სიმრავლემ შესაძლოა ხელი შეუშალოს ტურნირის ნორმალურ ჩატარებასო. ამ აზრის სისწორე მაშინ საკამათო იყო, ახლა კი, როცა ყველაფერი უკან დარჩა, როცა ცნობილია ფალავანთა ვინაობა, ვფიქრობთ, კამათმა დაკარგა მნიშვნელობა. თუმცა ისიც მართალია, რომ შეჯიბრების მსვლელობაში საჭირო გახდა ორგანიზაციული ხასიათის კორექტივების სახელდახელო შეტანა. მომავალში წესები ალბათ კიდევ უფრო დაიხვეწება.

პრესაში დღენიადაგ ლაპარაკია სპორტის მასობრიობაზე, როგორც ოსტატობის უმთავრეს წყაროზე. ხოლო, როცა მასობრიობის მაქსიმუმს მივაღწიეთ, მტკიცება იმისა, რომ მას არევ-დარევის მეტი არაფერი მოაქვს, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. მართალია, მონაწილეთა გაუთვალისწინებელმა სიმრავლემ დამატებითი სირთულეები შეუქმნა მსაჯთა კოლეგიას და სამდივნოს. სამაგიეროდ, ისიც დამტკიცდა, რომ ფალავნობას ჩვენში პატივს სცემენ.

მასობრიობის ზრდა მონაწილეთა რიცხვის ზრდას ნიშნავს, ეს კი, თავის მხრივ, ერთიორად აფართოებს ტურნირის გეოგრაფიას. წინათ ანალოგიურ ტურნირებში, გამოდიოდა გამოცდილ ფალავანთა პატარა ჯგუფი ნაცნობი ქალაქებიდან და რაიონებიდან. მაშინ ყველაფერი ცხადზე უცხადესად გვეჩვენებოდა: ვიცოდით, ვინ გავიდოდა ფინალში, ვის დარჩებოდა ჯილდო, როგორი თანამიმდევრობით განაწილდებოდა საპრიზო ადგილები. საკმარისი იყო ნაცნობ სქემაში ნაცნობი გვარები ჩაგვეწერა და ჯილდოები ჩამოგვერიგებინა. დღეს კი შეჯიბრების პროცესშიც ბევრი რამ იყო გაურკვეველი.

რესპუბლიკური ჩემპიონატი იმას ნიშნავს, რომ მასში სწორედ რესპუბლიკა უნდა იყოს სრულყოფილად წარმოდგენილი და არა ერთი რომელიმე ქალაქი, ან რაიონი. წლევანდელი ტურნირის რუკაზე თხუთმეტი დასახლების ქალაქი და რაიონია. ყველაზე მეტი მონაწილე თბილისს ჰყავდა — 11. ეს ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ამ სიაში მეორე ადგილზეა თელავი — 8 მოჭიდავე (ეს წინა წლებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია). შემდეგ მოდიან ცხინვალი (6), რუსთავი (5), გორი, მცხეთა (4-4). მონაწილეთა შორის იყვნენ ქუთაისის, საგარეჯოს, დუშეთის, ყვარლის, კასპის, გარდაბნის, ბოლნისის, გურჯაანის, ლენტეხის წარმომადგენლები. აღნიშნეთ ყველა ეს ქალაქი და რაიონი რუკაზე და დარწმუნდებით, რომ აბსოლუტურ ჩემპიონატში ფაქტიურად მთელი საქართველო გამოდიოდა.

არის სხვა სახის სტატისტიკური მონაცემებიც: ტურნირში იბრძოდა 26 სპორტის ოსტატი და ამდენივე პირველთანრიგოსანი. ყველაზე მეტი ოსტატი თბილისს ჰყავდა (8), ყველაზე ცოტა — მცხეთას, დუშეთს, ცხინვალს, ლენტეხს (თითო). ყველაზე ძლიერი შემადგენლობა თავმოყრილი იყო მძიმე და ზემძიმე წონებში — 12 სპორტის ოსტატი. პირველი წონის (75-დან 90 კგ-მდე) პირველ ჯგუფში 8 სპორტის ოსტატი გამოდიოდა, მეორე ჯგუფში — 6. მთავარი ჯილდოებისთვის ბრძოლა სწორედ მათ შორის გაიმართა.

ასეთია მოკლედ სატურნირო სტატისტიკის ანალიზის შედეგები.

მეორე სიტყვა ტურნირის მონაწილეებს ეკუთვნით

ტარიელ მუთოშვილი (გორი, სპორტის ოსტატი. ამ ტურნირში ფალავნის ტიტული მოიპოვა პირველ წონაში. პედინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი. სტუდენტთა 1976 წლის საკავშირო თამაშების ჩემპიონი): ტურნირი მომეწონა. ორივე წონაში ძლიერი შემადგენლობა იყო თავმოყრილი. ჩემი აზრით, სწორია მოჭიდავეთა დაყოფა წონების მიხედვით. მე, მაგალითად, 90 კილოგრამს ვიწონი და ალბათ გამიჭირდებოდა უფრო მძიმე მეტოქეებთან შეხვედრა. ყველაზე საპასუხისმგებლო ბრძოლა თბილისელ სპორტის ოსტატ ზურაბ ბახტაძესთან მქონდა. ამ ტურნირში მოვიგე 8 შეხვედრა. ჩემი აზრით, დაზუსტება სჭირდება ქულათა დარიცხვის სისტემას. ხშირად მეკითხებიან, რა არის საჭირო, რომ ქართული ჭიდაობა უფრო პოპულარული გახდესო. პასუხს ახლავე გაგცემთ: ასეთი სახის ტურნირები რაც შეიძლება ხშირად უნდა ჩატარდეს.

თენგიზ წითელაური (თელავი, სპორტის ოსტატი. ამ ტურნირში ფალავნის ტიტული მოიგო მეორე წონაში. პედინსტიტუტის II კურსის სტუდენტი. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. აბსოლუტური ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი): ახალი სისტემა კარგია, ოღონდ დებულების ყოველი პუნქტი ბოლომდე უნდა დავიცვათ. ჯერ გვითხრეს, მოჭიდავე ორი წაგების შემდეგ ეთიშება ასპარეზობასო, მაგრამ მერე ეს წესი შეცვალეს. მსაჯობამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ესეც ტურნირის ღირსებაა. ყველაზე მძიმე ბრძოლები მქონდა საქართველოს 1975 წლის ფალავანთან, თბილისელ ოთარ ყურაშვილთან და ცნობილ ძიუდოისტთან, გორელ თემურ ხუბულურთან. ძალზე მომეწონა პირველი ჯგუფის ფალავნის ტარიელ მუთოშვილის ჭიდაობა.

თემურ ხუბულური (გორი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში. პედინსტიტუტის სტუდენტი. ევროპის ჩემპიონი ძიუდოში): ბედნიერი ვარ, რომ ფალავანთა ფალავნის ტიტული მოვიპოვე. ტურნირში ბევრი კარგი მოჭიდავე იბრძოდა. მათ შორის საუკეთესონი იყვნენ თენგიზ წითელაური და ტარიელ მუთოშვილი. ახალი სისტემა მომწონს, ოღონდ თვით წესებში ბევრი რამ დასაზუსტებელია და დასახვეწი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი მოგვარდება დროთა განმავლობაში.

მესამე სიტყვა — ქართული ჭიდაობის ვეტერანებს

გიორგი დარისპანაშვილი (რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი): მე უფრო კრიტიკულად ვარ განწყობილი. ამიტომ ჯერ ზოგადი ხასიათის შენიშვნებს მოგახსენებთ. ქართული ჭიდაობა მუდამ გამოირჩეოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შნოთი და ლაზათით. ეს არ უნდა დავუკარგოთ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს. სარბიელზე გამოსვლასაც კი აქვს მნიშვნელობა (აღარას ვამბობთ ჭიდაობაზე). რა უნდა მოსთხოვო სპორტსმენს, რომელიც წრეში ზლაზვნით, თავდახრილი, უხალისოდ შემოდის? გულდასაწყვეტია, რომ ჭიდაობა უაღრესად გაღარიბდა ილეთებით. ოსტატიაო, ვამბობთ ამა თუ იმ მოჭიდავეზე, არადა ამ ოსტატმა ერთი ილეთიც არ იცის სრულყოფილად. უნდა გამოვტყდე, რომ სიახლეებსაც ვერ შევეთვისე. ბევრი რამ, ჩემი აზრით, საკამათოა. მეშინია, ძალზე მეშინია, რომ ამ სიახლეების შედეგად ქართულმა ჭიდაობამ არ დაკარგოს თვითმყოფობა. ცალკეულ მოჭიდავეთაგან გამოვყოფ საგარეჯოელ როინ ყორღანაშვილს და თბილისელ იგორ ძეგლიგაშვილს. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს რაღაც-ფატალურად არ სწყალობს ბედი. უკმაყოფილო ვარ მსაჯობითაც. საქმე ისაა, რომ რამდენიმე შეხვედრა აშკარად ფიქტიური მეჩვენა. ამას კულუარებში ყველა გრძნობდა. გრძნობდნენ, რა თქმა უნდა, მსაჯებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, გადამჭრელ ზომებს არ მიმართავდნენ. ფიქციური ბრძოლის მონაწილენი მკაცრად უნდა დაისაჯონ, თორემ სხვა, აშკარად ნიჭიერ მოჭიდავეებს ეკარგებათ ხალისი და სტიმული.

არჩილ დურგლიშვილი (ვეტერანი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი): ახალ წესებს ჯერჯერობით კარგად ვერ გავეცანი. პირველი შთაბეჭდილება არ არის ცუდი. ჩემი აზრით უნდა გაამართლოს ფალავანთა ფალავნის იდეამაც. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართული ჭიდაობა უფრო პოპულარული გახდეს? სექციური მუშაობის გაშლა! გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკაში არ არის არც ერთი სპეციალიზებული სექცია. ამას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან რაიონები. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ქართული ჭიდაობა გაღარიბდა შინაარსობრივად. აი, ჩვენ ერთად ვადევნებდით თვალს ფინალურ შეხვედრებს ფალავანთა ფალავნობაზე. 16 შეხვედრაში მხოლოდ 4 ილეთი გაკეთდა. დანარჩენ ბრძოლებში გამარჯვება ერთ-ერთ მონაწილეს მსაჯთა გადაწყვეტილებით მიეკუთვნა. განა ესაა ქართული ჭიდაობა? მე ყოველთვის ქულობრივი სისტემის წინააღმდეგი ვიყავი. ჩვენი ჭიდაობისთვის იგი უცხოა. სამბოში ალბათ ამართლებს ეს სისტემა, ძიუდოშიც. ქართულ ჭიდაობას კი თავისი ტრადიციები აქვს და მათ არამც და არამც არ უნდა გადავუხვიოთ. სავსებით ვეთანხმები ბატონ გიორგის: ფიქტიურ ჭიდაობას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

* * *

ტექნიკური შედეგები

იმისთვის, რომ შეჯიბრების შედეგებზე უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, გაგაცნობთ პრიზიორებს:

პირველი ჯგუფი (75-90 კგ). 1. ტ. მუთოშვილი (გორი), 2. ზ. ბახტაძე (თბილისი), 3. ჯ. ნინოშვილი (საგარეჯო).

მეორე ჯგუფი (მძიმე და ზემძიმე). 1. თ. წითელაური (თელავი), 2. თ. ხუბულური (გორი), 3. ი. ძეგლიგაშვილი (თბილისი).

ფალავანთა ფალავნობაზე. 1. თ. ხუბულური (გორი), 2. თ. წითელაური (თელავი), 3. ო. ყურაშვილი (თბილისი), 4. ტ. მუთოშვილი (გორი), 5. თ. ბედოევი, 6. ო. შაშვიაშვილი (ორივე — თბილისი).

ნ. გუგუშვილი.

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

ვუბრუნდებით ნაბეჭდს

ქვიშის ხუხულები...

„ჰეროსტრატეს მემკვიდრეთა“ ნაკვალევზე

შენოტიოებულ ქვიშის ბორცვთან მოკლეშარვლიანი ბიჭუნა ჩაცუცქულა. გულმოდგინედ ურევს შიგ პატარა ხელებს. კარგა მოზრდილ გროვას გამოსწევს, დაყოფს, ერთისგან სახლისმაგვარ ხუხულას „გამოაცხობს“, მეორეს ირგვლივ შემოავლებს — ეს ღობეა. „ეზოში“ პატარა ჭას დაასკუპებს, ცოტა მოშორებით ფარდულს ააშენებს, სახლთან მისასვლელ გზასაც გაიყვანს. მერე ხალათზე ჩამოისვამს ქვიშაში ამოსვრილ ხელებს და ერთხანს ყურადღებით დასცქერის თავის ქმნილებას. რაღაც არ მოეწონება თუ სხვა იდეა მოუვა თავში, ისევ ააფათურებს პატარა თითებს და თვალისდახამხამებაში წაშლის თავის ნამოქმედარს.

პატარების ეს უცოდველი გართობა მაგონდებოდა, როცა დიღმის მასივის სპორტულ მოედნებს ვათვალიერებდი. ისინი კი არცთუ ცოტაა, ზოგს კარგა ხნის ისტორია აქვს, ზოგიც სულ ახლახან აშენდა — ერთნი პირველი მაისის რაიონის საბჭოს აღმასკომის ზედამხედველობისა და ხელშეწყობის მეოხებით, მეორენი—თვით მაცხოვრებელთა ინიციატივით, უმთავრესად კი იმიტომ, რომ იყო ქალაქის საბჭოს აღმასკომის 1974 წლის 14 ნოემბრის დადგენილება, მართლაც დროული და საჭირო, რომელიც ამ საშვილიშვილო საქმის საფუძვლად და წარმმართველადაც გვესახება.

მეორე კვარტალის 8ა კორპუსის წინ მოასფალტებულ მოედანს ცისფრად შეღებილი ბადურა აქვს შემოვლებული, ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ... იყო წინააღმდეგობა, გამოჩნდა კაცი, თვით ამ კორპუსის მაცხოვრებელი, უსაფუძვლო კაპრიზის გამო საჩივარიც რომ დაწერა, მაგრამ... საერთო, ჩვენი ხვალინდელი დღის ინტერესები მოითხოვდა და მოედანი მაინც გაკეთდა.

მეხუთე კვარტალის მეთერთმეტე და მეცხრე კორპუსებს შორის კარგა მოზრდილი ადგილი მოუსწორებიათ, ხრეშიც დაუყრიათ, აქვე აწყვია მოედნის შემოსაღობი მასალაც. აქაც გამოჩნდა „სიმშვიდის მოყვარული“ ადამიანი, ასობით ბავშვის, მათი მშობლების სავსებით ბუნებრივი სურვილი რომ არაფრად ჩააგდო და ქაღალდი ქაღალდზე აფრინა რაიონის აღმასკომში — მიშველეთ, სიმშვიდეს მირღვევენო! ტყუილად გაისარჯა. მოედნის მშენებლობა მაინც დამთავრდება, თუნდაც იმიტომ, რომ ისევ და ისევ ასობით ბავშვის უსაქმოდ ღობე-ყორეს მოდებას ან ოთხკედელშუა სხეულის დადუნებას ფეხბურთის ან კალათბურთის თამაში ბევრად სჯობს.

რაიონის ხელმძღვანელობას წყალტუბოს ქუჩაზე, ახალ კორპუსებს შორისაც დაუწყია მოედნის მშენებლობა. წინააღმდეგობა აქაც არის (სწორედ ამის გამო შეჩერდა სამუშაოები), მაგრამ ამასაც მოევლება. გაზაფხულზე დამთავრდება მშვენიერი ფეხბურთის მინდვრის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნების მშენებლობა ელიავას ქუჩაზე № 26 კორპუსის წინ.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ისევ დიღმის მასივს მივუბრუნდეთ.

მეოთხე კვარტალი. კალათბურთის მოედანი ოთხ თოთხმეტსართულიან სახლს შორის. კიდევ ექვსი კორპუსის ბიჭუნები გადმოჰყურებენ იმედის თვალით ამ პატარა მოედანს. ის შარშან საკუთარი ხელით ააშენეს მაცხოვრებლებმა. ერთი თვის წინათ მოედანს ექსკავატორი მიადგა და ერთი ნაწილი ჩამოაჭრა. არც ბავშვების მუდარამ, არც მშობელთა ჩივილმა, არც გაზეთ „ლელოს“ გამოსვლამ არ გასჭრა. **მეოთხე და მეხუთე კვარტალების № 32 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორისთვის გათვალისწინებული ორსართულიანი სახლი მაინც შენდება.** მოედნის მოშლა რაისაბჭოს აღმასკომში იქნებ არც სურდათ, მაგრამ ქალაქის საბჭოს აღმასკომისა და მთავარი არქიტექტორის შესაბამისი ნებართვა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მოედანს მართლაც არცთუ დიდი ნაწილი ჩამოაჭრეს, მაგრამ...

ვნახეთ პროექტი. ორსართულიან შენობას მთავარი ფასადი კალათბურთის მოედნის მხარეს აქვს. მთავარი ფასადი კი შესასვლელსაც გულისხმობს, კიბესაც, მანქანების სადგომ ადგილსაც (სხვათა შორის, პროექტი დეკორატიულ კედელსაც ითვალისწინებს — ეს, ასე ვთქვათ, შენობის ესთეტიკური წანამატია).

ყველაფერ ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ კალათბურთის მოედანს „სულ პატარა“ ნაწილი ჩამოაჭრესო, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებულია.

არადა, მართლაც შეიძლებოდა რაღაც გამოსავლის პოვნა, ისეთისა, რომ არც მწვადი დამწვარიყო, არც შამფური, პირდაპირი, კარგი გაგებით. შეიძლებოდა უბრალოდ „მოგვებრუნებინა“ ეს პროექტი, შეიძლებოდა დეკორატიული კედლის ჩამოჭრაც. ის საბუთი, რომ პროექტი ტიპიურია (გლდანშიც აშენდა სახლი ამ პროექტით) და მისი გადაკეთება არ შეიძლება, უცნაურად გვეჩვენება. ესეც არ იყოს, თუ მაინცდამაინც საჭიროა ასეთი ესთეტიკური დანამატი, იმას რატომ აღარ ვფიქრობთ, რომ თოთხმეტსართულიან შენობებს შორის ჩადგმული ორსართულიანი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სახლი მეტად არასასიამოვნო დაპირისპირებას შექმნის? შეიძლება კაცს ბევრი არაფერი გაეგებოდეს არქიტექტურისა, მაგრამ ასეთ უბრალო რამეს ყველა სულ იოლად შეამჩნევს.

ამასაც თავი დავანებოთ. ვთქვათ და, მართლაც არ იყო სხვა გამოსავალი, არც პროექტის გადაკეთება, არც მისი „შებრუნება“ არ ხერხდებოდა. მაშინ კიდევ ერთ საშუალებას შევთავაზებდით ამ საქმის წამომწყებთ: კალათბურთის მოედნის გადაღმა კიდევ არის თუმცა ოღროჩოღრო, მაგრამ საკმაო ტერიტორია. მოესწორებინათ ის ფართობი, დაეგოთ ასფალტი და მერეღა დაეწყოთ ის, არცთუ სასახელო საქმე. ათასზე მეტი ბიჭისა და გოგონასთვის ასეთი გადაადგილება, ვფიქრობთ, სულერთი იქნებოდა. სამწუხაროდ, არც ასე მოხდა, სამწუხაროდ, მშენებლებიც საკმაოდ ხელსწრაფნი გამოდგნენ (საოცარი კია, ასობით ობიექტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ პირიქით უნდა მომხდარიყო), საძირკველიც გაჭრეს და ბეტონის ფილებიც ჩააწყვეს. თუმცა, რას ვერჩით ან მშენებლებს, ან საბინაო სამმართველოს, საამისო ნებართვა ხომ მართლაც არსებობს!

მოდი და ნუ იტყვი, ბარაქალაო! მოდი და ნუ მოგაგონდება შენოტიოებულ ქვიშის გროვასთან ჩაცუცქული ბიჭუნა, სავსებით გასაგები გულმოდგინებით, ბავშვური გულუბრყვილობით ჯერ რომ აშენებს და მერე შლის პატარა ხუხულებს.

ი. ხერიაშვილი.

„ლელოს“ მრგვალი მაგიდა

მკითხველი — სპეციალისტი: დიდი ფეხბურთის პრობლემები

1. საქართველოს ჩემპიონატი, ნორჩთა აღზრდის საკითხები

— **ფეხბურთის** მოყვარულთა ერთ ჯგუფს, განსაკუთრებით რაიონების წარმომადგენლებს, აინტერესებს, თუ რატომ იცვლება ასე ხშირად საქართველოს პირველობის სტრუქტურა, მისი გათამაშების დებულება. წელს ჩვენ დავუბრუნდით ჩემპიონატის სისტემას მონაწილეთა ორ პარალელურ ჯგუფად დაყოფით, რაც თავის დროზე დაგმობილი იყო როგორც უვარგისი და არასპორტული, ახლა კი იგი კვლავ მიზანშეწონილად ვცანით. მერე ეს დებულება შეიცვალა და I ჯგუფში დასარჩენი გუნდების ტურნირი ხუთის ნაცვლად ჩატარდა ექვსი კოლექტივის მონაწილეობით. ერთ დროს კურსი აღებული იყო იქით, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რაოდენობა შემცირებულიყო, დახვეწილიყო, რათა მასში დარჩენილიყვნენ მხოლოდ საუკეთესონი, მხოლოდ უძლიერესნი, მაგრამ ეს პრინციპი დაირღვა, გუნდების რაოდენობა კვლავ იზრდება. რატომ?

ა. ჭკუასელი: ყოველგვარ ცვლილებას ჩემპიონატის ჩატარების სისტემაში გვკარნახებს ახალი მოთხოვნები, შექმნილი პირობები, კონიუნქტურა. ერთი საზომით და სტანდარტულად რთულ საქმეს ვერ მიუდგები, თუმცა მკითხველებს ვეთანხმებით იმაში, რომ ბოლოს და ბოლოს საჭიროა შემუშავდეს სტაბილური, ყველაზე მიზანშეწონილი დებულება და მკაცრად დავიცვათ იგი. მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა საჭიროდ მიმაჩნია იმ მოტივით, რომ ფეხბურთმა მეტი გავრცელება და გასაქანი პოვოს რესპუბლიკაში, ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა ითამაშონ რაც შეიძლება მეტი ხნის, თითქმის მთელი წლის მანძილზე.

ნ. ახალკაცი: პირველობის დებულების ოპტიმალურ ვარიანტს აუცილებლად უნდა მივაგნოთ, მაგრამ ამას სჭირდება დრო, ძიება. მონაწილეთა რაოდენობის ზრდა, სრული წლის მანძილზე თამაში სასარგებლო საქმეა, მაგრამ ამან არ უნდა დაჩრდილოს გუნდების თამაშის ხარისხი, ფეხბურთელთა მომზადების დონე. როცა ამა თუ იმ რაიონს ან ქალაქს ადგილს აძლევენ I ჯგუფში და მაღალ დონეზე თამაშის საშუალებას უქმნიან, ეს კეთდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ იქ განვითარდეს ფეხბურთი, დაინტერესდნენ ბავშვები და ახალგაზრდები, მაყურებლები. თვით გუნდმა კი მაქსიმალურად გამოიყენოს მინიჭებული უფლება და საგანგებო მონდომებით გაშალოს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. ვფიქრობ, შეცდომა არ იყო დაშვებული, როცა I ჯგუფში მონაწილეობის შესაძლებლობა შეუნარჩუნეს თბილისის „განთიადს“ და ახლაც სწორი იქნება, თუ ჩემპიონატში დავუშვებთ ცხინვალის „სპარტაკს“. მაგრამ, მეორეს, ადგილებზე მომუშავეებმა ამგვარი შეღავათებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ და ხელი შეუწყონ სასარგებლო საქმეს.

ი. საყვარელიძე: დიდი ფეხბურთის გეოგრაფიის ფარგლების გაფართოება გარკვეულ დროს, გარკვეულ ეტაპზე, ხელს უწყობს ამ სახეობის პოპულარიზაციას, მისი მასობრიობის ზრდას პერიფერიებში. ვინც კარგად იმუშავებს, შემდგომშიც შეინარჩუნებს ადგილს.

ნ. ჩხატარაშვილი: გადაჭრით თქმა იმისა, თუ რამდენი გუნდი ჯობს რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის — 18 თუ მეტი, ძნელია. არგუმენტების მოყვანა შეიძლება როგორც ერთის, ისე მეორის სასარგებლოდ, მაგრამ ერთი კი ცხადია: არასპორტული პრინციპი არ გამოგვადგება არც ერთ შემთხვევაში. ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცით, როცა ცალკეული გუნდები გამონაკლისის სახით „რიგგარეშე“ დაგვიშვია I ჯგუფში, მათ კი ეს ნდობა არ გაუმართლებიათ. სტაბილურ დებულებამდე უნდა მივიდეთ ძიების გზით, ხელი შევუწყოთ მათ, ვინც ამას იმსახურებს, მერე კი დავადგინოთ გუნდების საბოლოო რაოდენობა.

გ. ჯეჯელავა: საქართველოს ჩემპიონატში, მხედველობაში მაქვს პირველი ჯგუფი, უნდა ითამაშოს იმდენმა გუნდმა, რამდენსაც აიტანს კალენდარი ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, თუ ჩვენში ათი თვის განმავლობაში შეიძლება თამაში, უნდა ვითამაშოთ კიდეც ათი თვე.

„ლელო“: მრგვალი მაგიდის მონაწილე ზოგიერთი მკითხველი გვწერს, რომ დაესწრო საქართველოს პირველობის რამდენიმე მატჩს, ყურადღებით ადევნებდა თვალს მოთამაშეებს და მათ შორის ვერ გამოარჩია ისეთი ნიჭისა და მონაცემების მქონენი, რომლებიც რამდენადმე მაინც გამოდგებოდნენ ოსტატთა გუნდებისთვის. ეს საკითხი აინტერესებთ თბილისელებს ჭ. ღაშაყმაძეს, ნ. ათანელიშვილს, ქუთაისელ რ. ჯიშიაშვილს და სხვებს. ისინი გვეკითხებიან: რესპუბლიკის ჩემპიონატი რაღას ემსახურებაო?

ა. ნორაკიძე: ასე ადვილი რომ იყოს ნიჭიერი ფეხბურთელის შერჩევა, ჩვენი საქმეც იოლზე იოლი იქნებოდა: დაესწარი რამდენიმე მატჩს, შეათვალიერე, ვინც მოგეწონება, დაადე ხელი და ოსტატთა გუნდიც დაკომპლექტებული გეყოლება. ზოგჯერ წლობით ეძებ საჭირო ფეხბურთელს, დადიხარ, მოგზაურობ, უყურებ ათასგვარი რანგის მატჩებს ბავშვებისა და უფროსების მონაწილეობით, არჩევ, არჩევ და, რაც გინდა, მაინც ვერ პოულობ. ნიჭიერი ფეხბურთელი იშვიათი, უნიკალური მოვლენაა, მას ეძებენ ყველგან და პოულობენ მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისის სახით. ეს მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკითაა დამტკიცებული. რაც შეეხება იმას, თუ რას გვაძლევს საქართველოს პირველობა, ვიტყვი მოკლედ: ჩვენი II ლიგის გუნდები უმთავრესად რესპუბლიკური გათამაშების მონაწილეებითაა დაკომპლექტებული, ასეთი ფეხბურთელები გვყავს ქუთაისის „ტორპედოშიც“. რაღა შორს მივდივართ: ვიტალი დარასელია უშუალოდ საქართველოს პირველობიდან, ოჩამჩირის „ამირანიდან“ მოვიდა თბილისის „დინამოში“, ტარიელ დვალიშვილი — თბილისის არმიელთა გუნდიდან.

ა. ჭკუასელი: საქართველოს პირველობა — ესაა მასობრივი ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრება, რომელიც ემსახურება რამდენიმე მიზანს: სპორტსმენთა ჯანმრთელობის განმტკიცებას, მაყურებელთა კულტურულ გართობას, სპორტის პროპაგანდას, ფიზკულტურული კოლექტივების აქტიურ საქმიანობას, ჯანსაღ კონკურენციას. როგორც სპორტული თბილისი ცხოვრობს „დინამოს“ გამოსვლებით საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, ისე, ვთქვათ, გეგეჭკორში აინტერესებთ „სალხინოს“ თამაში, ესწრებიან თავიანთი გუნდის მატჩებს. ფეხბურთი სჭირდება ხალხს, მაყურებელს. სწორედ ესაა მასობრიობა. მასობრივი ფეხბურთი კი თავის მხრივ საფუძვლად უდევს მაღალი კლასის ოსტატთა ფეხბურთს. შეიძლება ვიღაცამ საქართველოს პირველობის მატჩში ვერ შენიშნა ნიჭიერი ფეხბურთელი, სხვამ კი შენიშნა და ფართო გზაზეც გაიყვანა იგი.

„ლელო“: სხვათა შორის, მკითხველთა წერილებში ახლაც და სხვა დროსაც ხშირად გვხვდება ჭაბუკ ფეხბურთელთა გვარები, რომლებსაც რეკომენდაციას აძლევენ — გამოსცადეთ, უეჭველად გამოგადგებათ ოსტატთა გუნდებისთვისო.

ა. ჭკუასელი: ასეთ წერილებს ჩვენც მრავლად ვღებულობთ რაიონებიდან და არც ერთს არ ვტოვებთ უყურადღებოდ, შეუმოწმებლად. როგორც კი მიგვითითებენ ამგვარ მოთამაშეზე, სპეციალისტებს ვავალებთ მათს გასინჯვას, აღრიცხვაზე აგვყავს ისინი. მაგრამ, როგორც წესი, აქ კეთილი სურვილები უფრო ხშირია, ვიდრე საქმიანი დახმარება. ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთში იმდენი შეჯიბრება ტარდება ადგილებზე, რაიონებში, ქალაქებში, შემდგომში — უფრო დიდი მასშტაბითაც, ისეთი კონტროლია მათზე, რომ ნიჭიერი მოთამაშე არ გამორჩება არც სპეციალისტ მწვრთნელს, არც ფიზკულტურულ მუშაკს, ვთქვათ, სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს.

ნ. ახალკაცი, ა. ნორაკიძე: ვსინჯავთ და გავსინჯავთ ყველას, სადაც კი ხელი მიგვიწვდება, სადაც არა, ამას ჩვენი კოლეგები აკეთებენ.

„ლელო“: ფოთელ გულშემატკივართა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი (9 ხელმოწერა) გვწერს, რომ ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების ერთ-ერთ მტკივნეულ, საპრობლემო უბანს კვლავ და კვლავ წარმოადგენს მსაჯობის საკითხი. მართლაც, არაერთხელ ვყოფილვართ უხარისხო, არაკვალიფიციური არბიტრობის მოწმე არა მხოლოდ რაიონებში, არამედ აქვე, თბილისში. შორეულ მაგალითებს არ მოვიყვანთ, ვილაპარაკოთ, თუნდაც იმ საპასუხისმგებლო ტურნირის მომსახურებაზე, რომელიც სულ ახლახან გაიმართა, დედაქალაქის მთავარ სტადიონებზე. საქმე ეხება ექვსი გუნდის შეჯიბრებას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა პირველ ჯგუფში მოხვედრის საკითხი. იქ ნათლად გამოჩნდა უხარისხო მსაჯობის დონე.

ნ. ჩხატარაშვილი: მართალია. ამ ტურნირშიც და საქართველოს ჩემპიონატის მთელ რიგ მატჩებშიც მსაჯობა ვერ იდგა საჭირო სიმაღლეზე. ეს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის, მისი პრეზიდიუმის უშუალო საქმეა. რა შეგვიძლია ვთქვათ? მსაჯობა რთული საქმეა, არბიტრების მიმართ პრეტენზიებს ხშირად შეხვდებით მსოფლიოს და ევროპის, საკავშირო ჩემპიონატების პრაქტიკაში და ბევრი მათგანი სავსებით სამართლიანია. ეს ანალოგიები თავის გასამართლებლად არ მოგვყავს, საკუთარ თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ და ჩვენი შეჯიბრებები მაღალ დონეზე ჩავატაროთ. ექვსთა ტურნირის ახლანდელ მატჩებში თბილისის სტადიონებზე სერიოზული შეცდომები მოსდიოდათ მსაჯებს, რომელთა გვარები, სხვათა შორის, „ლელოშიც“ გამოქვეყნდა. ერთი ცხადია: მსაჯების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს. ამას მოითხოვს ჩვენი ფეხბურთის განვითარების ინტერესები. ამ მხრივ, ჩემი აზრით, ძალზე საყურადღებო, სასარგებლო ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის „განთიადის“ სპეციალიზებულ სკოლაში, სადაც ნორჩი ფეხბურთელები მსაჯობის სრულ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს გადიან. მეცადინეობას საფუძვლიანი, სერიოზული ხასიათი აქვს. ეს თაოსნობა მისაბაძ მაგალითად უნდა იქცეს სხვა სკოლებისთვისაც, მაშინ არჩევანისთვის გაცილებით მეტი და უკეთესი კონტინგენტი გვეყოლება, ნათქვამს ერთიც მინდა დავუმატო: ხშირ შემთხვევაში მსაჯების მიმართ არ არიან მართალი, გულშემატკივრები მათ უსამართლო პრეტენზიებს უყენებენ, მოითხოვენ მითიურ პენალტებს თავიანთი გუნდის სასარგებლოდ, მსაჯის ყოველ სასტვენს კრიტიკის თვალით უყურებენ. ამაში ბრალი ფეხბურთელებსაც მიუძღვით, რომლებიც წარამარა ტრიბუნებს მიმართავენ აპელაციით და მსაჯთა საწინააღმდეგოდ განაწყობენ მათ.

კ. ყრუაშვილი: ხშირად მინახავს მატჩები, სადაც არბიტრი ცამდე მართალი იყო, დამარცხებული გუნდის ხელმძღვანელობა კი თამაშის მერე პროტესტს წერდა. საერთოდ კი მსაჯებთან მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ეს საჭიროა.

„ლელო“: როცა ლაპარაკია მსაჯობაზე, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მარტო სხვადასხვა სათამაშო მდგომარეობის ფიქსირებას არბიტრის მიერ. აქ უნდა ვიგულისხმოთ საერთო წესრიგი მინდორზე, მოთამაშეთა გარეგანი შეხედულება, ჩაცმულობა, ვარცხნილობა და ა. შ. თბილისელი გულშემატკივარი ა. ნოდია გვწერს, რომ არმიის სპორტკლუბის სტადიონზე დაესწრო მატჩს ზესტაფონის „მეტალურგის“ მონაწილეობით. „ასეთი ფორმით, ალბათ, ყანაში სამუშაოდ არ გავა კაცი, — წერს იგი. — ფეხბურთელებს ეცვათ რაღაც ისტორიამდელი ხანის გაურეცხავი, უსუფთაო მაისურები, უმგვანი ტრუსები, ბევრი მათგანი გაუპარსავი იყო, თმამოშვებული, თამაშობდა გეტრებჩაჩაჩული, გადმოშვებული მაისურით. საგანგებოდ ვათვალიერე და მეტალურგებს შორის ვერც ერთი ვერ ვნახე ისეთ წესრიგში, როგორსაც ფეხბურთის წესები მოითხოვს“.

ნ. ჩხატარაშვილი: მართალია და ეს მარტო ჩაცმულობას არ ეხება. ნახეთ, როგორ გამოდიან ხშირად ფეხბურთელები მინდორზე, უმწყობროდ, არეულ-დარეული, უხალისოდ ესალმებიან მეტოქე გუნდს, გახუნებული და უსუფთაო ფორმები აცვიათ, უმეტესობას თმა უშნოდ მოუშვია. ჩვენ საჭირო მითითებას ვაძლევთ მსაჯებს, რომ არ დაუშვან ასეთი შემთხვევები, ისინიც ცდილობენ, მაგრამ ფეხბურთელები უმეტესად თავს იმართლებენ, უმაღლეს ლიგაშიც თმამოშვებული და გეტრებჩაწეული თამაშობენო ცნობილი ოსტატები. ხომ მოგეხსენებათ — ცუდი მაგალითი გადამდებია.

ი. საყვარელიძე: ფორმის უვარგისობისთვის, მაისურებზე ნომრების უწესივრობისთვის პირველ ყოვლისა პასუხი უნდა აგონ გუნდების ხელმძღვანელებმა. ფორმები არ ღირს ისე ძვირი, რომ რამდენიმე კომპლექტის შეძენა გაუჭირდეს საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე რომელიმე კოლექტივს, მის ხელმძღვანელობას.

„ლელო“: სასურველ შედეგებს ვერც უხეშობისა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევათა აღკვეთის მხრივ მივაღწიეთ.

ვ. შაედია: მართალია, მაგრამ დარღვევებმა წარსულ წლებთან შედარებით იკლო. ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული სპორტულ-ტექნიკური კომისია, სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო უყურადღებოდ არ ტოვებენ დისციპლინის დარღვევის არც ერთ შემთხვევას, სჯიან დამნაშავეებს, საჭირო მუშაობას ატარებენ ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან. მომავალში ასეთი ღონისძიებები უფრო მეტი ეფექტით, სისტემატურად უნდა ჩატარდეს.

„ლელო“: ფეხბურთის მოყვარულთა უმეტესობამ, ვინც მარტო გასართობად კი არ დადის სტადიონზე, არამედ ჩვენი ფეხბურთის მომავალი პერსპექტივებითაცაა დაინტერესებული, გვთხოვა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა შორის ყოფილიყვნენ ბავშვებთან და ჭაბუკებთან მომუშავე სპეციალისტებიც, რომლებიც პასუხს გასცემდნენ მათს შეკითხვებს. ერთ-ერთი შეკითხვა ასეთია: რა არის მთავარი სპეციალიზებული სკოლების მუშაობაში — პირველი ადგილების დაკავება სხვადასხვა შეჯიბრებაში, პრიზების მოპოვება, თუ მაღალი კლასის რეზერვების აღზრდა ოსტატთა გუნდებისთვის? როგორ ფასდება მწვრთნელის მუშაობა — გუნდის მიერ დაკავებული ადგილით, თუ მომზადებულ მოთამაშეთა რაოდენობით?

შ. მერკვილაძე: მთავარი ამოცანა მაღალი კლასის მოთამაშის აღზრდაა. სპეციალიზებულ სკოლას პირველ ყოვლისა ევალება მოამზადოს მაღალხარისხოვანი ცვლა ოსტატთა გუნდებისთვის, ხოლო შეჯიბრებაში ადგილების დაკავება — ეს უკვე მეორადი მოვლენაა, რომელიც საერთო სტიმულს აძლევს სკოლასაც, მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც. მაგრამ ეს დებულებითაა ასე გათვალისწინებული, უმეტეს შემთხვევაში კი პირიქით ხდება ხოლმე. წააგებ რომელიმე შეჯიბრებას, ატყდება ერთი ამბავი, ყველა ზემდგომი ინსტანცია მთელი სიმკაცრით გთხოვს პასუხს, რეზერვების მომზადებისთვის კი ასეთი კონკრეტული პასუხისმგებლობა არაა დაწესებული. თუ გაზრდი, ხომ კარგი, თუ არა და „დრო ითმენს“. მეტსაც ვიტყვი: წოდებებს უმეტესად იმ მწვრთნელებს ანიჭებენ, ვისაც გუნდები გაჰყავს შეჯიბრებებზე, ხოლო, ვინც ყოველდღიურ „შავ მუშაობას“ ეწევა ნორჩ ფეხბურთელებთან, ის ჩრდილშია და უყურადღებოდაა მიტოვებული. სხვა სიტყვებით, ერთნი თესავენ, მეორენი იმკიან. მაგრამ ახლა, მგონი მდგომარეობა იცვლება და სათანადოდ პირველ ყოვლისა მას დააფასებენ, ვინც უშუალოდ ასრულებს ყველაზე ძნელ საქმეს, ესე იგი, ბავშვებთან მეცადინეობს და ზრდის ტალანტებს დიდი ფეხბურთისთვის. ამის შესახებ სპეციალური დადგენილებაც გამოსცა სპორტკომიტეტმა.

„ლელო“: ეს შენიშვნა მხედველობაში უნდა მივიღოთ, ოღონდ ისე არ გამოვიდეს, რომ ერთი ოსტატის აღზრდა რამდენიმე მწვრთნელს მივაწეროთ. მკითხველებს აინტერესებთ ასეთი საკითხიც: რა წესია სპეციალიზებულ სკოლებში — ცალცალკეა მეკარეების, მცველების, ნახევარმცველების, თავდამსხმელების ჯგუფები, განცალკევებული სწავლებაა მათთვის, თუ ფეხბურთელი მზადდება საერთოდ, ერთიან საფუძვლებზე და მისი სათამაშო ამპლუა ვლინდება მერე, მოგვიანებით? ან კიდევ: ფეხბურთელი, მისი წლოვანებისა და მომზადების დონის მატების მიხედვით, ერთი მწვრთნელის ხელიდან გადადის მეორე, უფრო კვალიფიციური სპეციალისტის ხელში თუ არა? სხვა საგნებში ხომ ასეა: პირველდაწყებით არითმეტიკას ერთი მასწავლებელი ასწავლის, ალგებრას და ტრიგონომეტრიას — სხვა.

შ. მერკვილაძე: ეს ისეთი საკითხია პედაგოგიკის სფეროდან, რომ ასე იოლად ვერ გასცემ პასუხს. ძირითადად ჩვენ მივმართავთ კომპლექსურ მეთოდს, რომელსაც ვაზუსტებთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მეკარეთა წვრთნის სპეციფიკა დავას არ იწვევს, მაგრამ როგორ გინდა თანამედროვე ფეხბურთის პირობებში, როცა მოთამაშეთა უნივერსალიზაციაზეა ლაპარაკი, ბავშვს თავიდანვე მისცე ვიწრო სპეციალიზაცია? იქნებ მისი ნამდვილი მოწოდება სულ სხვა ადგილია და სწორედ იქ შეუძლია გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა მთელი სისრულით? განა ცოტა ვიცით შემთხვევები, რომ უკვე ჩამოყალიბებულ ფეხბურთელსაც კი ოსტატთა გუნდებში ადგილს უცვლიან და მისი ტალანტიც ახალი ძალით ვლინდება? სამისო მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა. შოთა ხინჩაგაშვილი თავიდანვე მარცხენა მცველად თამაშობდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში კი სტოპერად მოხვდა. ფეხბურთელს თავიდანვე ყოველმხრივი მზადება უნდა მისცე, ამავე დროს მხედველობაში მიიღო მისი სპეციფიკური მონაცემები და შეურჩიო გარკვეული ადგილი, გაუკვალო გზა. რაც შეეხება ნორჩი ფეხბურთელის გადაცემას ერთი მწვრთნელიდან მეორის ხელში, აქაც ინდივიდუალური მიდგომის ხერხი უნდა გამოვიყენოთ. თუ მწვრთნელის კვალიფიკაცია ვერ სწვდება მზარდი ფეხბურთელის შესაძლებლობებს, არ შეიძლება ბავშვის პროგრესის ხელოვნური დამუხრუჭება.

„ლელო“: სოხუმელი ფეხბურთის მოყვარული კ. მიქაძე და მასთან ერთად მრგვალი მაგიდის წევრი სხვა მონაწილეც გვწერენ, რომ ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვთა გუნდებში არიან ნიჭიერი მოთამაშეები, მათგან ბევრს მოელიან, საუკეთესო მომავალს უქადიან, მაგრამ ეს ნიჭიერი ნორჩი სპორტსმენები უკვალოდ იკარგებიან, არ ჩანან დიდ ასპარეზზე.

გ. ჯეჯელავა: ესაა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი ჩვენს ფეხბურთში და მას ბევრი მიზეზი აქვს. ზოგს გარკვეულ წლებში სხვა ინტერესები უჩნდება და თავს ანებებს თამაშს, ზოგი გარდამავალ ასაკში კარგავს ადრინდელ მონაცემებს, მთავარი კი ისაა, რომ არ გაგვაჩნია საშუალედო საფეხურის ბაზა, სადაც ჭაბუკი სკოლის დამთავრების შემდეგ გააგრძელებს ვარჯიშს და თამაშს. დიდი ხანია ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საჭიროა სკოლა 18-20 წლის ფეხბურთელთათვის, მაგრამ საკითხი ჯერჯერობით დადებითად ვერ გადაწყდა.

ი. ბოჭორაძე: უამრავი შემთხვევა ვიცით, როცა ფეხბურთელის ნიჭი იფურჩქნება არა 17, არამედ 20 წლის ასაკში, მაგრამ, რახან ასეთი სპეციალური ჯგუფები არა გვაქვს, ბავშვები გვეკარგება მხედველობიდან. სკოლას ამთავრებენ, ოსტატთა გუნდში ვერ ხვდებიან და უმეთვალყურეოდ დარჩენილები თავს ანებებენ თამაშს. ამიტომ აუცილებლად გვჭირდება გარკვეული ჯგუფები 18-20 წლის ასაკის ჭაბუკთათვის.

შ. მერკვილაძე: გახსოვთ, ალბათ, ასეთი ჯგუფი ერთ დროს გვყავდა თბილისის ახალგაზრდულ სკოლაში, რომელსაც ანდრო ჟორდანია ხელმძღვანელობდა. მაშინ იქ ბრწყინვალე თაობა აღიზარდა.

სარბიელზეა „ოლიმპიური სიჭაბუკე“

ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტის ძალოსნობისა და ფარიკაობის დარბაზში დამთავრდა მოზარდ მოფარიკავეთა ტრადიციული პირად-გუნდური საკავშირო ტურნირი „ოლიმპიური სიჭაბუკე“. სარბიელზე გამოვიდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, მინსკელი, ტაშკენტელი, ნოვოსიბირსკელი, როსტოველი, ომსკელი, ბარნაულელი, ერევნელი, ხარკოველი და თბილისელი მუშკეტერები, სულ 322 სპორტსმენი. შეჯიბრება, ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში (1961-1963 და 1959-1960 წლებში დაბადებულებისთვის).

გვესაუბრება ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ს. აჯიმამუდოვი:

— ეს ტრადიციული შეჯიბრება უკვე მეათე წელია ტარდება. პირველ ტურნირში მხოლოდ მოსკოვის, თბილისისა და ტაშკენტის გუნდები მონაწილეობდნენ, მაგრამ შემდეგ „ოლიმპიურმა სიჭაბუკემ“ თანდათან მოიპოვა პოპულარობა, იზრდებოდა მონაწილეთა რიცხვიც და ახლა ასპარეზობაში უკვე 12 კოლექტივი ჩაება. ნორჩი თბილისელი სპორტსმენები მაინცდამაინც განებივრებული არ არიან ტურნირებით. რა თქმა უნდა, ეს შეჯიბრება მათთვის კარგი სკოლა იყო და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს.

თბილისელებმა 24 ქულით მოიპოვეს საერთო გუნდური პირველობა. მეორე იყო სარატოვის გუნდი (33), ხოლო III ადგილი მოსკოველებს ხვდათ (41).

გაგაცნობთ პრიზიორებს:

1961-1963 წლებში დაბადებულნი. პირადი.

რაპირა. გოგონები. 1. იურკოვა (ბარნაული), 2. ა. დარბაისელი (თბილისი), 3. გ. კალიბერდა (ხარკოვი). ჭაბუკები. 1. ნ. კვინტრაძე, 2. ვ. აფციაური (ორივე — თბილისი), 3. ვ. კუზნეცოვი (სარატოვი).

დაშნა. 1. რ. გომიდორი (ტაშკენტი), 2. ე. სოკოლოვი, 3. ვ. მაშინი (ორივე — ნოვოსიბირსკი).

ესპადრონი. 1. ვ. ლუკიანჩიკოვი (ხარკოვი), 2. ა. სვეტლიჩნი, 3. ს. ბოროდინი (ორივე — ომსკი).

გუნდური. რაპირა. გოგონები. 1. ბარნაული, 2. ლენინგრადი, 3. თბილისი. ჭაბუკები. 1. თბილისი, 2. სარატოვი, 3. კიევი.

დაშნა. 1. ტაშკენტი, 2. მოსკოვი, 3. ნოვოსიბირსკი.

ესპადრონი. 1. სარატოვი, 2. კიევი, 3. მოსკოვი.

1959-1960 წლებში დაბადებულნი. პირადი.

რაპირა. გოგონები. 1. რ. პოკიდოვა (ნოვოსიბირსკი), 2. ო. სოკოლოვა (ლენინგრადი), 3. ს. მენკოვა (ტაშკენტი). ჭაბუკები. 1. გ. [illegible] (თბილისი), 2. ა. [illegible] (ერევანი), 3. ვ. ჩერნომორეცი (კიევი).

დაშნა. 1. გ. ჯილაური (თბილისი), 2. მ. ტიშკო (ხარკოვი), 3. გ. შაიდა (მინსკი).

ესპადრონი. 1. დ. ბუხაიძე, 2. ზ. გიორგაძე, 3. ტ. გოშაძე (სამივე — თბილისი).

გუნდური. რაპირა. გოგონები. 1. ტაშკენტი, 2. მოსკოვი, 3. თბილისი.

რაპირა. ჭაბუკები. 1. თბილისი, 2. მოსკოვი, 3. კიევი.

დაშნა. 1. მინსკი, 2. ხარკოვი, 3. თბილისი.

ესპადრონი. 1. თბილისი, 2. სარატოვი, 3. მინსკი.

გ. ამირხანოვი.

შაშის დაფებთან

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს ვაჟთა პირველობები 64- და 100-უჯრიან შაშში. გათამაშდა კიდევ ორ-ორი ტური.

8 ტურის შემდეგ

გთავაზობთ 64-უჯრიან შაშში შეჯიბრების VII და VIII ტურების შედეგებს. VII ტური. ა. ბერუაშვილი — თამაზ ბარამიძე 0:1, ს. პახლაჯიანი — მ. მოსიძე 0,5:0,5, შ. თუმანიშვილი — ვ. წოწონავა (სოხუმი) 1:0, მ. ცანავა (ფოთი) — რ. ესართია 1:0, რ. ქერდიკოშვილი — ვ. გობოზოვი (ცხინვალი) 0:1, ა. გრიგოლია (სამტრედია) — რ. რეხვიაშვილი (რუსთავი) 0:1. VIII ტური. ბარამიძე — რეხვიაშვილი 0,5:0,5, გობოზოვი — გრიგოლია 1:0, ესართია — ქერდიკოშვილი 1:0, წოწონავა — ცანავა 0,5:0,5, მოსიძე — თუმანიშვილი 0:1, ბერუაშვილი — პახლაჯიანი 1:0.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ბარამიძე — 7 ქულა, ვ. გობოზოვი — 6,5, ა. ბერუაშვილი — 6, მაია მოსიძე, შ. თუმანიშვილი — 4,5-4,5.

VII ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერუაშვილ-ბარამიძის შეხვედრას. უფრო გამოცდილმა ბარამიძემ ძლიერად წარმართა თამაში, გაიმარჯვა და ერთპიროვნული ლიდერობაც ხელთ იგდო.

გობოზოვმა გრიგოლიასთან საინტერესო კომბინაცია განახორციელა ხუთი შაშის შეწირვით.

დიდ ინტერესს იწვევს დასკვნითი შეხვედრები.

ს. ველთაური,
შეჯიბრების მსაჯი.

●

კვლავ ბუჟინსკი

100-უჯრიან შაშში 8 ტურის შემდეგ კვლავ ე. ბუჟინსკი ლიდერობს — 7,5 ქულა. მას 1,5 ქულით ჩამორჩება ს. მალოვიკი (სოხუმი). თენგიზ ბარამიძეს (ფოთი) 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ნ. დარასელიას — 4.

გთავაზობთ კიდევ ორი ტურის (VII, VIII) შედეგებს. VII ტური. ბუჟინსკი — ზ. ქოქოევი (ცხინვალი) 1:0, დ. მინასიანი — პ. კუჩეროვი 0:1, ვ. ინწკირველი — მალოვიკი 0:1, თ. მარკოზაშვილი — ბარამიძე 0:1, თ. გამხიტაშვილი — შ. ბოთერაშვილი 0,5:0,5, ე. რომანოვ (სოხუმი) — ე. დარასელიას პარტია გადაიდო. VIII ტური. ქოქოევი — რომანოვი 0,5:0,5, კუჩეროვი — ბუჟინსკი 0:1, მალოვიკი — მინასიანი 1:0, მარკოზაშვილი — ინწკირველი 0,5:0,5, დარასელია — გამხიტაშვილი 1:0, ბარამიძე — ბოთერაშვილი 1:0.

ზ. ქიტუაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს მორიგი ტურის შეხვედრები.

თ. ქიქავას ფოტო.

კაუნასში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღეც იღბლიანი გამოდგა თბილისელებისთვის. „ბურევესტნიკმა“ რიგით მესამე გამარჯვება ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში იზეიმა — 23:21 (12:9). დახარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (მინსკი) — ასკ (ლვოვი) 27:23 (9:12), ცსკა — ასკ (კიევი) 29:18 (14:8), „უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 28:24 (19:13), „ნევა“ (ლენინგრადი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) 20:23 (6:11), „კუნცევო“ (მოსკოვი) — „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) 28:21 (13:7).

კვირას ჩემპიონატის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ, გუშინ კი თამაშები განახლდა. ზაპოროჟიელებთან გამარჯვების შედეგად თბილისელებმა გათამაშების ცხრილის მესამე სტრიქონი დაიკავეს. ზედიზედ სამი გამარჯვება იმაზე მიგვანიშნებს, რომ

საპრიზო ადგილს უმიზნებენ

„ბურევესტნიკმა“ ფრთა გაშალა და ჩემპიონატის პირველ წრეს კარგი შედეგით დაამთავრებს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმართავენ თბილისელები I წრის ბოლო მატჩებს ცსკა-სთან, „ალუმინსტროისთან“ და „ნევასთან“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 დეკემბრისთვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	8	0	0	279-177	16
საავიაც. ინსტ.	7	0	1	255—208	14
„ბურევესტნიკი“	6	0	2	202—188	12
„ალუმინსტროი“	5	0	3	220—216	10
„კუნცევო“	4	1	3	174—171	9
ინდუსტრ. ინსტ.	4	0	4	192—187	8
„გრანიტასი“	3	1	4	191—207	7
ასკ (ლვოვი)	2	1	5	180—197	5
ასკ (კიევი)	2	1	5	175—210	5
ასკ (მინსკი)	2	0	6	191—212	4
„უნივერსიტეტი“	2	0	6	188—217	4
„ნევა“	1	0	7	192—249	2

• • •

ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის IV ტურის მატჩები ასე დასრულდა:

ალმა-ათა. „სპარტაკი“ (ბაქო) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 7:12 (3:7), ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) 17:10 (6:3), „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) 15:15 (6:8).

მუკაჩევო. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „მეტალურგი“ (ბროვარი) 14:13 (8:8), ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (კიევი) 9:26 (5:12), „დინამო“ (კიშინიოვი) — „კოლოსი“ (ბეროგოვო) 11:21 (8:14).

შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი.

სვერდლოვსკი. ვლადივოსტოკში მოგების შემდეგ თბილისის „დინამო“ აქ „ურალმაშს“ შეხვდა. ტაიმი სტუმრებმა სამი ქულის სხვაობით მოიგეს — 42:39. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და შეძლეს მეტოქის დამარცხება — 73:69. ეს სვერდლოვსკელთათვის პირველი გამარჯვებაა ჩემპიონატში, ხოლო თბილისელთათვის — მესამე მარცხი, თბილისელებმა სტუმრად ჩატარებული ოთხი მატჩიდან სამი წააგეს.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგო — ამჯერად დაამარცხა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი — 103:102, კიეველებმა ძალზე ძნელ ბრძოლაში გაიმარჯვეს.

ნიკოლაევი. „სპარტაკის“ კალათბურთელებმა თავიდანვე შეუტიეს ლენინგრადელ თანაკლუბელებს და საპატიო გამარჯვება მოიპოვეს ქვეყნის პირველობის ვერცხლის პრიზიორებთან—84:77.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“ (ლენ.)	11	8	3	974:853	8
„სტროიტელი“	7	7	0	688:607	7
„დინ.“ (მოსკ.)	10	6	4	913:871	6
ცსკა	5	5	0	535:427	5
„დინამო“ (თბ.)	8	5	3	709:695	5
„ჟალგ.“ (კაუნ.)	9	4	5	831:773	4
რტი (მინსკი)	9	4	5	807:802	4
ასკ (რიგა)	9	4	5	778:786	4
„კალევი“ (ტალ.)	8	4	4	643:672	4
„სპარტ.“ (ნიკ.)	10	3	7	858:947	3
„სტატიბა“ (ვილ.)	8	2	6	710:745	2
„სპარტ.“ (ვლად.)	9	2	7	729:826	2
„ურალმ.“ (სვერ.)	7	1	6	576:747	1

• • •

ტაშკენტში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე.

სსრ კავშირის ჩემპიონებმა — რიგის ტტტ-ს კალათბურთელებმა მოსკოველი არმიელები დაამარცხეს ანგარიშით 66:36 და 12 ქულით შეჯიბრების ლიდერები გახდნენ.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (პენზა) 82:59, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 102:57, „დინამო“ (კიევი) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 50:66, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) 77:65, სკიფი (ტაშკენტი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 52:49.

ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზში გაიმართა წყალში მხტომელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. გუნდურ პირველობაში ყველას თბილისელებმა აჯობეს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: კოშკიდან ხტომაში გამარჯვებული თბილისის დინამოელი ს. ნიკოლოტოვა.

ა. გურასაშვილის ფოტო.

რბოლები ფუძის მთის ძირას

ნიუ-იორკი (საკდესი). ყოველკვირეულ „ნიუსუიკში“ დაიბეჭდა ასეთი სტატია:

...მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა, ფუძის მთის ძირას მოწყობილი ავტორბოლის ტრასის ზოგიერთ მონაკვეთს სქელი ნისლი აწვა. მძღოლთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ამინდმა რბოლებისთვის სახიფათო პირობები შექმნა და უმჯობესია ასპარეზობის სხვა დროისთვის გადატანაო. მაგრამ 70000-ზე მეტ გულშემატკივარს უკვე მოეყარა თავი და მოუთმენლად ელოდა შეჯიბრების დაწყებას, პირველად რომ ტარდებოდა იაპონიაში. ორგანიზატორებმა, როგორც იქნა, დაიყოლიეს მონაწილენი და 24 მანქანა საათ-ნახევრის დაგვიანებით გზას გაუდგა.

„გრან-პრის“ სერიიდან 200 მილზე შეჯიბრება, რომელიც 9 თვის წინათ დაიწყო, როგორც ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ჯონ სურტიმ თქვა, იყო „ორი ცხენის რბოლა“ — ავსტრიელი ნიკი ლაუდას და ამჟამინდელი ჩემპიონის, ინგლისელი ჯეიმს ჰანტის შეჯიბრება. მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოიგებდა ამ მონაკვეთზე რბოლას, მხოლოდ ლაუდასა და ჰანტს შეეძლოთ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების იმედი ჰქონოდათ. ავსტრიელი თავის კონკურენტს 3 ქულას უგებდა. ლაუდამ რბოლა დიდი სისწრაფით დაიწყო, მაგრამ სამი მოსახვევის შემდეგ (სულ 73 იყო) მიატოვა დისტანცია. „ტრასის მდგომარეობა არ მაძლევს რბოლის გაგრძელების საშუალებას, — თქვა მან. — ჩემთვის სიცოცხლე ჩემპიონის ტიტულზე ძვირფასია“.

გამარჯვების შემდეგ ჰანტმა თქვა: „ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც ლაუდას შეემთხვა. მეც მინდოდა რბოლის სხვა დროისთვის გადატანა“.

იაპონიაში სტარტის წინ ჰანტმა ინტერვიუ მისცა „ნიუსუიკს“: „მიმაჩნია, რომ რბოლები არ უნდა იყოს ასეთი სახიფათო, არ მინდა დავიღუპო. თავიდან ამაზე არ ვფიქრობდი“.

ტურნირი ამსტერდამში

ამ ქალაქში გრძელდება მოშაშე ქალთა III მსოფლიო პირველობა. მონაწილეებმა დაამთავრეს ძირითადი შეჯიბრება. I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ე. მიხაილოვსკაიამ (სსრ კავშირი) — 6 ქულა, II ადგილზეა ბ. გრაასი (ჰოლანდია) — 5,5, III-IV ადგილები გაიყვეს სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ტრავინამ და ა. პოპიემ (ჰოლანდია) — 5-5.

ახლა ეს ოთხეული ერთმანეთთან დამატებით ტურნირში განაგრძობს ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის.

...და გრონინგენში

ალმაათელმა ოსტატმა, 19 წლის ე. ვლადიმიროვმა IV ტურში სძლია ვონგს (იამაიკა). ასეთი ცნობა მოვიდა გრონინგენიდან (ჰოლანდია), სადაც ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიოს და ევროპის პირველობა მიმდინარეობს. ტურნირში მონაწილეობენ 54 ქვეყნის ოც წლამდე ასაკის მოჭადრაკეები.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება, სათამაშოა კიდევ ცხრა ტური.

ათი წლის შემდეგ

20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ბაუტისტამ მეხიკოს ქუჩებში 25 კილომეტრის გავლას 1:50.55,0 მოანდომა, რაც ბევრად სჯობს გ. შპერლინგის (გდრ) ათი წლის წინანდელ მსოფლიო მიღწევას — 1:52.30,8.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტული კალენდარი

შაში. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. 37). **საქართველოს ვაჟთა პირველობები 64- და 100-უჯრიან შაშში. 28-30 დეკემბერი.** ორივე ტურნირში 28 დეკემბერს გაიმართება X ტური (დასაწყისი 16 ს.). 29-ში — შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად (დასაწყისი 12 ს.), 30-ში — XI ტური (დასაწყისი 11 ს.) და შეჯიბრებების დახურვა (18 ს.).

საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო და თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატის მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი თანამშრომელი

შუშანა გიორგის ასული წერეთელი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 28 XII 4 ს., ვაჟა ფშაველას პროსპექტი, 36.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 15018